



სოლიდარობის ფონდის საქმიანობის

II პერიოდული ანგარიში

2014 წლის 2 ოქტომბერი

ქალბატონებო და ბატონებო,

წარმოგიდგენთ სოლიდარობის ფონდის მეორე პერიოდულ ანგარიშს 2014 წლის 1 ივლისიდან 30 სექტემბრის ჩათვლით მობილიზებული რესურსებისა და ონკოლოგიური დაავადების მქონე 15 ბავშვის თაობაზე ინფორმაციით, რომლებიც სოლიდარობის ფონდის თანადაფინანსებით იტარებენ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას როგორც საქართველოში ასევე ქვეყნის საზღვრებს გარეთ.

აქვე დანართის სახით წარმოგიდგენთ „სოლიდარობის რეიტინგის“ პირველ პილოტურ ანგარიშს, რომელიც დეტალურად ასახავს 2014 წლის ივლისი-სექტემბრის პერიოდში საჯარო მოხელეების მიერ გაწეულ წვლილს როგორც ცენტრალური ასევე ადგილობრივი ხელისუფლების უწყებათა მასშტაბით. გთხოვთ, გაეცნოთ და მოგვაწოდოთ თქვენი შენიშვნები და მოსაზრებები მ/წ 31 ოქტომბრამდე (solidarity@geo.gov.ge).

აღსანიშნავია, რომ 30 სექტემბრის მდგომარეობით სოლიდარობის ფონდში მონაწილეობის სურვილი დაადასტურა ქვეყნის მასშტაბით მოქმედი 161 საჯარო სამსახურის 34,177 თანამშრომელმა, რაც ყოველთვიურად 154,473 ლარის მობილიზების საშუალებას იძლევა.

საჯარო მოხელეთა ჩართულობა 2014 წლის ივლისის პერიოდთან შედარებით 4-ჯერ, ხოლო ყოველთვიურად მობილიზებული თანხების მოცულობა 5-ჯერ გაიზარდა. თითოეულ საჯარო მოხელეს სოლიდარობის ფონდი გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მხარდაჭერისათვის!

გარდა ამისა „ლიბერთი“ ბანკთან და „საქართველოს ბანკთან“ გაფორმებულმა პირველმა თანამშრომლობითმა მემორანდუმებმა კერძო სექტორის სისტემური ჩართულობის პირველი საფუძვლები შექმნა.

თქვენი მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა

- 18 წლამდე ასაკის სოლიდური სიმსივნით დაავადებული 15 ბავშვის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის დაფინანსება საქართველოს, თურქეთის, გერმანიისა და საფრანგეთის კლინიკებში;
- სოლიდარობის ფონდში დამატებითი მასშტაბური დონაციის მობილიზება - სწორედ საჯარო მოხელეების მიერ შექმნილმა პირველმა საფუძვლებმა გახადეს შესაძლებელი თურქული კომპანიის „მეტრო-ტიკარის“ 500,000 ლარის მოცულობის დონაცია;
- დაბოლოს 25 სექტემბრიდან სოლიდარობის ფონდის პროგრამის გაფართოვება, რომლის ფარგლებშიც ჩვენ უკვე 21 წლის ასაკის ჩათვლით ყველა ტიპის ონკოლოგიური დაავადების მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების დახმარებას შევძლებთ.

ასევე ერთიანი ძალისხმევითა და მზარდი ფინანსური რესურსების მობილიზებით ვიმედოვნებთ, რომ შესაძლებელი გახდება როგორც ონკოლოგიურ პაციენტთა ასაკობრივი სპექტრის გაზრდა (22 წლის ასაკიდან), ასევე ბავშვთა სხვა მძიმე დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის ოჯახებისათვის ფინანსური ტვირთის შემსუბუქება.

დღეისათვის განხილული და დაფინანსებული განცხადებები

2014 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით საქართველოს სოლიდარობის ფონდის მუდმივმოქმედა კომისიამ 3 სხდომა გამართა, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა 22 პაციენტის განცხადება. 22 განცხადებიდან პროფილური - 18 წლამდე ასაკის სოლიდური სიმსივნით დაავადებული ბავშვების 15 განცხადება იქნა განხილული და 15-ვე აპლიკაცია დაფინანსებული მოთხოვნილი თანხის შესაბამისად.

ფონდის თანადაფინანსებით 15 ბავშვიდან 11 დიაგნოსტიკურ და სამკურნალო სერვისს (ქიმიო-თერაპიასა და მაღალ-ტექნოლოგიურ კვლევებს) იტარებს საქართველოში, ხოლო ოთხი ბავშვის თანადაფინანსება (მცირეწლოვან ასაკში სხივური თერაპია და ქირურგიული ოპერაციები, რომელიც საქართველოში ვერ ტარდება) დამტკიცდა თურქეთის, გერმანიისა და საფრანგეთის კლინიკებში.

15 ბავშვის დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის დამტკიცებულმა საერთო თანხამ 122 500 ლარი შეადგინა. ცხრილის სახით წარმოგიდგინთ დაფინანსებული ბავშვების ასაკის, დიაგნოზისა და დამტკიცებული თანხების დეტალურ ანგარიშს.

N	პაციენტის მონაცემები		დიაგნოზი ფორმა #100-ის მიხედვით	მკურნალობის საერთო ღირებულება	ფონდიდან მოთხოვნილი და დაფინანსებული თანხა
	ასაკი	სოც. სტატუსი (შშმ ან სხვა)			
საზღვარგარეთ მკურნალობა					
1	3 წლის		თავის ტვინის სიმსივნის პოსტ-ოპერაციული სხივური თერაპია	18 000 ევრო	14 000 ევრო (თურქეთი)
2	4 წლის		თავის ტვინის სიმსივნე (ეპენდიმომა, გრეიდი II), პოსტ-ოპერაციული სხივური თერაპია	17 930 ევრო	9 930 ევრო (თურქეთი)
3	11 წლის		მარჯვენა ბარძაყის ძვლის ლოკალიზაციის იუნგის სარკომა. ქირურგიული ოპერაცია - რეზიდუალური სიმსივნური მასის რეზექცია შემდგომი პროთეზირებით.	20 000 ევრო	2 000 ევრო (საფრანგეთი) დამატებით 2 200 ლარი ქიმიო-თერაპიისათვის (საქართველო)
4	9 წლის		მკერდუკანა ჯირკვლის ქირურგიული ამოკვეთა (თიმექტომია) ოპერაციის შემდგომი თიმომის დიაგნოსტიკური გამოკვლევით მიასთენია გრავის შემდგომი მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრის მიზნით	18 000 ევრო	8 400 ევრო (გერმანია)

**მკურნალობა საქართველოში (ქიმიოთერაპიისა და მაღალტექნოლოგიური კვლევების თანადაფინანსება
საყოველთაო ჯანდაცვის ლიმიტის ფარგლებს ზემოთ)**

5	1 წლის		ემბრიონალური რაბდომიოსარკომა - მარჯვენა მხრის მიდამოს რბილი ქსოვილების სარკომა	5 540 ლარი	3 863 ლარი
6	1 წლის		ნეირობლასტომა - სოლიდური სიმსივნე; დაავადების დინამიკაში კონტროლის მიზნით მუცლის ღრუს მაგნიტურ-რეზონანსული კვლევის დაფინანსება კონტრასტით	570 ლარი	570 ლარი -
7	4 წლის	შშმ ბავშვი, სოც. დაუცველი	შუასაყარის განგლიონეორობლასტომა	1 372 ლარი	1372 ლარი
8	6 წლის		ნეფრობლასტომა - თირკმლის ავთვისებიანი სიმსივნე	2 000 ლარი	2 000 ლარი
9	6 წლის		ალვეოლარული რაბდომიოსარკომა	3 039 ლარი	3 039 ლარი
10	7 წლის	შშმ ბავშვი	ემბრიონალური რაბდომიოსარკომა მარხცენა ყბაყურა ჯირკვლის პროექციაზე	1 372 ლარი	1 372 ლარი
11	11 წლის	შშმ ბავშვი	ნათხემის ჭიის და მე-4 პარკუჭის მიდამოს მედულობლასტომა	1 372 ლარი	1 372 ლარი
12	11 წლის		გულმკერდის კედლის ხონდროსარკომა გართულებული ქვედა პარაპარეზით II (მეორე) კლ/ჯგ	1 372 ლარი	1 372 ლარი
13	14 წლის	შშმ ბავშვი	იუნგის სარკომა	1 372 ლარი	1 372 ლარი
14	15 წლის	შშმ ბავშვი	მარჯვენა ბარძაყის ძვლის ოსტეოგენური სარკომა მეტასტაზებით ფილტვებში. IV st II კლ/ჯგ; პროგრესირება თავის ტვინის Mts დაზიანება	1 372 ლარი	1 372 ლარი
15	17 წლის		მარჯვენა ბარძაყის ძვლის ოსტეოგენური სარკომა, პროგრესირება, ფილტვების mts დაზიანება. IV სტადია	1 372 ლარი	1 372 ლარი

- სოლიდარობის ფონდის მუდმივმოქმედი კომისიის წევრები წარმოდგენილი არიან სახელმწიფო სტრუქტურების (მთავრობის ადმინისტრაციის, ჯანდაცვის, ფინანსთა, კულტურის სამინისტროებისა და ქალაქ თბილისის მერიის), კერძო სექტორის (ბიზნეს და საბანკო სექტორის), საერთაშორისო (გაეროს, მსოფლიო ბანკისა და აშშ საელჩოს წარმომადგენლები) და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან.

- საერთო ჯამში 2014 წლის 25 აგვისტოდან 30 სექტემბრამდე შემოსული 22 განცხადებიდან არ დაკმაყოფილდა 7 აპლიკაცია, რამდენადაც არ შეესაბამებოდა ფონდის მიერ პირველ ეტაპზე განცხადებულ დიაგნოსტიკურ და ასაკობრივ კრიტერიუმებს. მოგეხსენებათ, რომ პირველ ეტაპზე ფონდს მხოლოდ 18 წლამდე ასაკის სოლიდური სიმსივნეებით დაავადებული ბავშვების თანადაფინანსების საშუალება ჰქონდა.
- თუმცა 25 სექტემბერს სოლიდარობის ფონდმა უკვე გააფართოვა პროგრამა და დღეიდან 21 წლის ასაკის ჩათვლით ბავშვებისა და ახალგაზრდების დახმარებას შესძლებს ნებისმიერი სახის ონკოლოგიური დაავადების შემთხვევაში.
- 30 სექტემბერის მონაცემებით, სულ საქართველოს სოლიდარობის ფონდში ჩარიცხულია 824 637 ლარი, მათ შორის 270 000 ლარამდე დონაცია 34 000-ზე მეტი საჯარო მოხელის მიერ განხორციელდა, 500 000 ლარის კონტრიბუცია თურქული კომპანია „მეტროტიკარის“ მიერ და 54 000 ლარი ინდივიდუალური მოქალაქეებისა და „ლიბერთი“ ბანკთან და „საქართველოს ბანკთან“ კორპორატიული თანამშრომლობითი პროექტების ფარგლებში იქნა მობილიზებული.
- სახელმწიფო ჯანდაცვით პროგრამებთან და ადგილობრივი ხელისუფლების თანადაფინანსებასთან ერთად დღეისათვის სოლიდარობის ფონდში მობილიზებული თანხებით 21 წლის ასაკის ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვთა თანადაფინანსების პრობლემა საქართველოში სრულად შეიძლება ჩაითვალოს გადაჭრილად.

თუმცა აღნიშნული მიღწევის შენარჩუნებისათვის აუცილებელია საჯარო სექტორის უფრო მეტი ჩართულობა და ამასთანავე კორპორატიული სოციალური პროექტების გაფართოება.

გვსურს დაგარწმუნოთ, რომ თითოეული თქვენგანის მიერ გაღებული მინიმალური თანხაც კი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. 15 ბავშვისა და მათი ოჯახების სახელით, რომელთა დახმარებაც სოლიდარობის ფონდმა თქვენი ხელშეწყობით უკვე შესძლო მადლობას მოგახსენებთ უდიდესი თანადგომისათვის!

პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით,

საქართველოს სოლიდარობის ფონდის ადმინისტრაცია